

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

რატი გურგენიძე

ცენტრალური ხელისუფლება და ადგილობრივი  
თვითმმართველობა; ეფექტიანი თანაფარდობის პრობლემები და  
მათი გადაჭრის მექანიზმები

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორ ეფერ ატი

სადოქტორო პროგრამა - საჯარო მმართველობა  
შიფრი - 1109

თბილისი - 2020

დისერტაცია შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტში

ხელმძღვანელი, ეკონომიკურ,  
ფილოსოფიურ და იურიდიულ  
მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

/ალფრედ კურატაშვილი/

ოფიციალური რეცენზენტები:

დისერტაციის დაცვა შედგება 2020 წლის "----" -----" --- საათზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო მმართველობისა და მენეჯმენტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე, ადმინისტრაციული კორპუსი, შეხვედრების ოთახი  
მისამართი: თბილისი, 0175, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ავტორეფერატისა კი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ([www.gtu.ge](http://www.gtu.ge)).

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი,

სტუ-ს პროფესორი

/ლ. კოჭლამაზაშვილი/

## ABSTRACT

The first chapter of the paper - **Theoretical foundations of effective co-operation between central government and local self-government**; - There are two issues. The first discusses: forms of public administration. Governance system and its constituent elements. As well as the activities of local authorities, the ratio of their own and delegated powers.

The importance of decentralization is well underlined and its advantages and disadvantages are thoroughly discussed. Hence the system of administrative-territorial arrangement of the state is discussed.

The second chapter deals with: Theoretical basis of local self-government as a specific aspect of governance; The structure of local self-government in Georgia is discussed, and comparisons are made with examples of foreign countries with smaller, medium and large municipalities.

Public participation in decision-making and referendum as a means of implementing direct governance are discussed.

Clear separation of powers between self-governments and central government - The starting point is the universal principle of subsidiarity, according to which what can be done at the lower level should not be transferred to the upper level.

It is necessary to increase the share of guaranteed revenues of local governments in both percentage and absolute terms, in order for them to be able to fully fulfill their statutory powers.

Social surveys clearly show that public awareness of self-governance and the degree of self-government are low, as well as public oversight of the self-government and public participation in decision-making.

Subsequent decentralization reforms launched since 2012 have made significant positive changes.

Central government institutions (ministries) should speed up work on transferring powers to self-governments which will be more effective at local level;

In the second chapter of the thesis – „**Problems of effective co-operation of central government and local self-government at the modern stage**“ - There are also two issues to be considered: the analysis of the problems of the effectiveness of central government and local government on the examples of European countries.

Among them, in the first issue of the second part of the thesis - Problems of the Effective Coordination of the Functioning of the Central Government and Local Self-Government in Overseas Countries, It discusses the impact of local, historical, cultural, political, and other factors on public administration structures that have led to a variety of public models and mechanisms - ranging from the granting of extensive rights to local governing bodies to the extreme centralization.

The study examines a representative body of local self-government, the City Council, which has various names in different countries - the County Council, the General Council, the Municipal Council, the Municipal Council, and

others. It discusses the proportional electoral system of European countries: Lithuania, Italy and Sweden, and compares it with the German electoral system, where proportional elections e. Sec. It is regulated by a five percent threshold.

The dissertation contains specific facts about the reforms in Great Britain and Germany. The system of redistribution of functions of the central and local government bodies of Sweden is also discussed.

Lithuania is one of the first countries in the Soviet Union to gain independence and to embark on a path of democratic development. The example of Lithuanian state and local government is discussed and the parallel is influenced by Georgia's historical past.

It discusses the Italian electoral system, which depends on the number of residents. An example is the system of districts in Italy, some of which have a special status. The content and extent of their rights are of a different legal nature. The legal status of special status constituencies is determined by specific articles of the Italian Constitution. They have relatively more rights to resolve local issues than constituencies with ordinary status.

In the same chapter of the paper, the second issue – „Problems of effective co-operation of central government and local self-government in Georgia“ The territorial arrangement of Georgia is discussed. Local Government Activities and Existing Problems. Influence of central government on local self-government and existing co-existence problems.

This chapter discusses the European Charter of Local Self-Government and the road Georgia has taken over the last 25 years in terms of local government development.

Three main functions of local self-government are discussed:

- providing public services on-site;
- Supporting sustainable development;
- Ensuring civil peace and stability.

Local authorities should be given real power to ensure the full exercise of their authority and the efficient disposal of resources. The local government must be equipped with more authority and competence, the citizens must actually manage their own day-to-day, control the work of the authorities, and the citizen should at his or her own level determine their own fate.

The third chapter of the thesis, - **Mechanisms for improving the effective co-operation of central government and local self-government**". - covers two issues, the first of which deals with "Problems of effective co-operation of central government and local self-government in foreign countries", It proposes a number of proposals for the effective functioning of central government and local self-government.

There is a need to establish, with the support of the state, an independent advisory council, together with the civil sector, that will monitor the functioning of local government and central government across the country in order to effectively oversee local government activities and be transparent to the public.

The monitoring and recommendations of the Council will balance the

functions of the central government and local self-government and a balanced allocation of responsibilities that will facilitate effective functioning in the interests of the population.

In the same chapter, the second issue is discussed - "Mechanisms for improving the ratio of functioning of central government and local self-government in Georgia"; The rule of formation of the highest authority of the state and its structure are discussed. There are major problems with respect to aspects of monarchical, republican, oligarchic, dictatorial and theocratic rule.

The role of civil society in the proper development of the state and the functioning of effective mechanisms in local self-government are substantiated.

The ongoing reforms in Georgia in terms of local self-government are discussed and a common municipal social platform is proposed in order to optimize governance, transparency, awareness and openness.

Critically appreciated is the view that the problems of state governance are unrelated to legal gaps.

The dissertation concludes with a summary.

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკვლევი თემის აქტუალურობა. საკვლევი თემის აქტუალობა განპირობებულია ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების ეფექტიანი თანაფარდობის პრობლემატიკით და ამ პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით, როგორც რთულ ისტორიულ თანმდევ პროცესთან.

წარმოდგენილი ნაშრომი აქტუალურია, რადგან არსებობს ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციებისა და უფლებამოსილებების გამიჯვნის პრობლემა, ასევე ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების ეფექტიანი თანაფარდობის სრულყოფის მექანიზმების მიების არასათანადო შესწავლის ნაკლოვანება.

განსაკუთრებით აქტუალურად მიგვაჩნია, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და მართვის ისეთი სისტემის მოდელის ჩამოყალიბება, რომელიც დაფუძნებული იქნება როგორც ადგილობრივ ტრადიციებზე, ისე საერთაშორისო გამოცდილებაზე.

თანამედროვე ეტაპზე ადგილობრივი თვითმმართველობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების და მის ფორმირების პროცესში. საერთო ჯამში სხვადასხვა სამოქალაქო ინიციატივა თუ აქტივობა უმთავრესად ფორმირდება ადგილობრივ საზოგადოებებში და ქმნის ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვან ბაზას.

ამდენად, მმართველობის ძალად მიტაცება, რასაც დიდი ფრანგი მოაზროვნე შარლ ლუი მონტესკიე (1689-1755 წ.წ.) თავის შესანიშნავ ნაშრომში „კანონთა გონი“ რეალურ ტირანიას უწოდებდა ან თუნდაც, სახელმწიფოს ხელისუფალთა იმგვარი მოქმედება, რომელიც მიმართულია ერის აზროვნების საწინააღმდეგო ხასიათის წესრიგის დამყარებისკენ და რასაც იგივე მონტესკიე აზრის ტირანიად მოიხსენიებდა, დროის მცირე

მონაკვეთში მართალია იძლევა რამდენადმე ხელშესახებ შედეგს, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში განწირულია დამარცხებისთვის<sup>1</sup>.

თანამედროვე სახელმწიფოს მართვაში ძირეული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობაზე მეტყველებს ისიც, რომ სახელმწიფოს მართვა უკვე შეუძლებელია ისეთი კატეგორიებისა და ინსტიტუტების გარეშე, როგორცაა კორპორაციული მმართველობა, მენეჯმენტი, ინოვაცია, რესურსების ოპტიმალური მართვა, პერსონალის მართვა, მომსახურება და სხვა<sup>2</sup>.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარებამ თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანი გახადა იმის გააზრება, რომ სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირება მხოლოდ თვით-მმართველობის სისტემის განვითარებით არის შესაძლებელი.

წარსულში სახელმწიფო დემოკრატიულად შეიძლება ჩათვლილიყო, თუ მას ხელისუფლების გადანაწილება უზრუნველყოფილი ჰქონდა, მას შემდეგ, რაც ევროპული ქარტია იქნა მიღებული ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, მხოლოდ მაშინ ითვლება დემოკრატიულად სახელმწიფო, თუ რეალური თვითმმართველობა არის უზრუნველყოფილი.

სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოში, მართვის პროცესის დემოკრატიულობას, ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს, იგი იძლევა ადგილობრივი საკითხების ეფექტურად გადაწყვეტის შესაძლებლობას და ხელს უწყობს უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებისა და უფლებების ოპტიმალური შერწყმა სახელმწიფოს ინტერესებთან შესაბამისობაში. საჯარო ხელისუფლების ორგანიზების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობა. ორმაგი ბუნება ახასიათებს მის სპეციფიკას: პოლიტიკური და საზოგადოებრივი.

---

<sup>1</sup> მონტესკიე შ. ლ. „კანონთა გონი“ (ფრანგულიდან თარგმნა დ. ლაზუჩაძემ). თბილისი. 1994 წელი. გვ. 325.

<sup>2</sup> საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები. სახელმძღვანელო. გ. ხუბუასა და კარლ-პეტერ ზობერმანის რედაქციით. თსუ-ს ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემა. ტომი 3. 2016 წელი. გვ. 5.



ამრიგად სახელმწიფო მმართველობის ერთიან სისტემაში არის ინტეგრირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. ადგილობრივ დონეზე მას გააჩნია სამართლებრივი დოკუმენტებისა და სხვადასხვა ნორმატიული აქტების გამოცემის უფლება, ასევე შეუძლია ადგილობრივი ბიუჯეტის დამოუკიდებლად ფორმირება, გადასახადების დაწესება და აკრეფა.

სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვან ელემენტს შეადგენს ადგილობრივი თვითმმართველობა, ადგილობრივ დონეზე იგი საზოგადოების პოლიტიკური თვითორგანიზების ფორმაცაა. თავისუფლების, თანასწორობისა და მმართველობის პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის პრინციპებზე დაფუძნებით არის წარმოქმნილი ადგილობრივი თვითმმართველობა და იგი განიხილება, როგორც სახელმწიფო მართველობის ალტერნატიული საშუალება.

დღესდღეისობით ერთ-ერთ მთავარ პრობლემას და განსჯის საგანს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფოს ურთიერთთანამშრომლობის თანაფარდობის საკითხი, თეორიული და სამართლებრივი ასპექტების მეცნიერული ანალიზი და თანამედროვე ეტაპზე მისი ახლებურად გააზრება.

დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან, ქართული სახელმწიფო ცდილობს ქვეყანაში ჩამოაყალიბოს, სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ცივილიზებული სისტემა, რომელიც შეძლებს ეფექტურად ფუნქციონირებას.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ დღეისათვის მოუგვარებელ პრობლემად რჩება ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტურად ფუნქციონირების საკითხი, საბოლოოდ ჯერ კიდევ სრულფასოვნად არ არის ადგილობრივი თვითმმართველობის კონცეფციები და სამართლებრივი ასპექტები შემუშავებული და შესწავლილი.

ხელისუფლებას და სამოქალაქო საზოგადოებას საკმარისი გამოცდილება არ გააჩნია ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაურად გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

ძირეულად შესწავლილი და გაანალიზებული არ არის თეორიული, მეცნიერული მიდგომები, თუ რა ადგილი და როლი უნდა ეჭიროს ადგილობრივ თვითმმართველობას ქართული საზოგადოების და სახელმწიფოს განვითარებაში თანამედროვე ეტაპზე.

ადგილობრივი თვითმმართველობა ყალიბდებოდა საუკუნეების მანძილზე და იგი უნდა განვიხილოთ, როგორც მრავალასპექტიანი, მრავალმხრივი სპეციფიკური მმართველობა.

სახელმწიფოსა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შეთანხმება ერთ დიდ, მთლიან საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს. ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპების და თანამედროვე ფორმების ჩამოყალიბება ძალიან რთული პროცესია, რომელიც ამჟამად არის კომპრომისების ძიების გზაზე.

სახელმწიფოებრიობის განვითარების გზაზე ნათლად ჩნდება ორგანული კავშირი სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის შორის. სხვადასხვა ტიპის სახელმწიფოებში, განვითარების სხვადასხვა დროს იყო ადგილობრივი თვითმმართველობის ბევრი განსხვავებული მოდელი, რომელთა განვითარება კვალდაკვალ მისდევდა სახელმწიფოს განვითარების ეტაპებს.

სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის ახლო ურთიერთობა განპირობებულია სხვადასხვა ობიექტური ფაქტორებით: არსებული სოციალურ და ეკონომიკური დონე, სხვადასხვა საზოგადოების ჯგუფების განაწილება და მათი ურთიერთობის ფორმები, მათი თანამშრომლობის ხასიათი, კულტურული და ეროვნული კუთვნილება, ისტორიული ტრადიციები, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, დემოგრაფიული მდგომარეობა და სხვა.

ადგილობრივი თვითმმართველობას, როგორც მოსახლეობის თვითორგანიზების გამოვლინებას, თანამედროვე ეტაპზე გააჩნია მმართველობითი და საზოგადოებრივი ინსტიტუტის ფორმები.

შეიძლება გამოვეყნოთ ის საერთო პრინციპები, რომლებიც საქმიანობისას გააჩნია, როგორც სახელმწიფო ხელისუფლებას, ასევე ადგილობრივ

თვითმმართველობას. ესენია: მართვის პროცესში მოსახლეობის ჩართულობის პრინციპი, კანონიერების პრინციპი, წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევის პრინციპი, ხმის მიცემის პრინციპი, მოქმედების სფეროების განსაზღვრისა და უფლებამოსილების გადანაწილების პრინციპი, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების პრინციპი და ა.შ.<sup>1</sup>.

ისტორიულად საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება ნათლად გვაჩვენებდა, რომ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ყოველთვის მჭიდრო კავშირში იყო ადგილობრივი მმართველობა და იგი მიიჩნეოდა, როგორც ცენტრალური ხელისუფლების გაგრძელება ადგილობრივ დონეზე.

უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ჩანს, საკანონმდებლო ბაზის ხარვეზების ფონზე ადგილობრივი თვითმმართველობა ნაკლებად ფლობს მნიშვნელოვან უფლებამოსილებებს. ხოლო თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში მუნიციპალური ორგანოები იურიდიულად არ ექვემდებარებიან ცენტრალურ ხელისუფლებას და ადგილობრივი თვითმმართველობა არის ფინანსურად დამოუკიდებელი ორგანო, რომელსაც გააჩნია საკუთარი მმართველი აპარატი.

აქედან გამომდინარე, არც ცენტრალურ ხელისუფლებას არა აქვს უფლება და შესაძლებლობა ჩაერიოს ადგილობრივ თვითმმართველობაზე გადაცემული საკითხების გადაწყვეტაში.

უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საზოგადოებას და ხელისუფლებას, ერთმანეთისაგან განსხვავებული მიზნები და ფუნქციები გააჩნიათ, რაც განაპირობებს კიდევ მათ ურთიერთ გამიჯვნას, მაგრამ სახელმწიფოს, ხელისუფლების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო) სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მისი ინსტიტუტების საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოა ცენტრალური ხელი-

---

<sup>1</sup> მიროტაშვილი დ. „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობა, ურთიერთთანამშრომლობის საკითხები“, პოლიტიკა და საზოგადოება, თბილისი 27.10.2015

სუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტური ფუნქციონირების როლი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი თანაფარდობის პრობლემების და მათი გადაჭრის მექანიზმების კვლევის აქტუალობას.

**საკვლევი თემის მიზანია** ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი თანაფარდობის პრობლემების გადაჭრის მექანიზმების დანერგვა საზოგადოებაში და სახელმწიფოში.

ამ მექანიზმებისა და ისტორიული გამოცდილების საფუძველზე მოხდება დღევანდელი გამოწვევების გადალახვა და სამომავლო პერსპექტივების გამოვლენა, რაც ხელს შეუწყობს ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიან ფუნქციონირებას საზოგადოებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირებაში.

**კვლევის ამოცანაა** შეისწავლოს ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის ხელისშემშლელი პრობლემები და შეიმუშაოს მისი სამართლებრივი უზრუნველყოფის გზები და მექანიზმები.

დასახული მიზნიდან გამომდინარე კი, კვლევის ძირითადი ამოცანებია:

- ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების ეფექტიანობის კუთხით არსებული სამართლებრივი მდგომარეობის შეფასება;
- ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანაფარდობის პრობლემების წარმოჩენა.
- ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი თანაფარდობის გზებისა და მექანიზმების შემუშავება და შეთავაზება;

- კვლევის ამოცანაა აგრეთვე საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობის დადგენა სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების პროცესში, რადგან ამ მექანიზმების გამოყენებით უნდა იყოს გათვალისწინებული სახელმწიფო ორგანოების მიერ საჯარო პოლიტიკის შემუშავება და მისი აღსრულების პროცესებში მოქალაქეთა საჭიროებისა და პრეფერენციების მაქსიმალურად გათვალისწინება.
- ასევე მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების როლისა და ადგილის გენსაზღვრა ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი თანაფარდობის მექანიზმების ფორმირების პროცესში.

**კვლევის ობიექტი და საგანი.** კვლევის ობიექტია ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი ფუნქციონირება. ხოლო კვლევის საგანს წარმოადგენს ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი თანაფარდობის პრობლემების გადაჭრის მექანიზმები.

**კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ინფორმაციული ბაზა.** კვლევის თეორიული საფუძველია ზოგადად სახელმწიფო მართვის პრობლემებთან, კერძოდ კი, ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი თანაფარდობის პრობლემების გადაჭრის მექანიზმებთან დაკავშირებით ქართველი და უცხოელი მეცნიერ-თეორეტიკოსების კონცეპტუალურ-ფუნდამენტალური შეხედულებები.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია სახელმწიფო მმართველობის პროცესში არსებული ხარვეზების გააზრება საერთო მეცნიერული პრინციპებით – დიალექტური და სისტემური მიდგომები, კვლევასა და კვლევის შედეგების შეფასებაში მიზნობრივი მიდგომა, ანალიზი და სინთეზი, ემპირიული განზოგადოება, შედარებითი ანალიზის მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია და სხვა.

**კვლევის ინფორმაციული საფუძველია** სახელმწიფო მართვის სფეროში

არსებული ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი თანაფარდობის პრობლემების გადაჭრის მექანიზმებთან და მათი აღმოფხვრის გზებთან დაკავშირებით ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ გამოთქმული პროგრესული იდეები და დებულებები. აგრეთვე, საკვლევი თემის შესაბამისი ნორმატიული აქტები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით (მაგ. ინტერნეტით) გავრცელებული ინფორმაციები და ა.შ.

**მეცნიერული სიახლე:** სადისერტაციო კვლევის შედეგად ჩვენს მიერ შემოთავაზებული და დასაბუთებულია შემდეგი სიახლეები, რომელთა პრაქტიკაში დანერგვას პრინციპული მნიშვნელობა ექნება ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი თანაფარდობის პრობლემების გადაჭრის მექანიზმების სრულყოფისათვის, კერძოდ:

- დადგენილია იმის აუცილებლობა, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერით შეიქმნას დამოუკიდებელი საკონსულტაციო საბჭო სამოქალაქო სექტორთან ერთად, რომელიც გაუწევს მონიტორინგს ქვეყნის მასშტაბით ადგილობრივი თვითმმართველობისა და ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციონირებას, რათა რეალურად გააკონტროლოს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა და იყოს გამჭვირვალე საზოგადოებისთვის. აღნიშნული საბჭო ხელს შეუწყობს ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიან ფუნქციონირებას.

აღნიშნული უწყების შექმნით მოიხსნება ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში ჩარევის გარკვეული საფრთხეები და რისკები, რითაც მოხდება რეალური დეცენტრალიზაციის ხელშეწყობა.

- დადგენილია რომ ხსენებული საკონსულტაციო საბჭო უნდა იყოს ანგარიშვალდებული მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარის და პრემიერ-მინისტრის წინაშე. საბჭო დაკომპლექტებული უნდა იყოს დარგობრივი ექსპერტებით, იურისტებით, ეკონომისტებით, ანალი-

ტიკოსებით და სხვა.

- მიჩნეული და დასაბუთებულია, რომ აღნიშნული საბჭო მაქსიმალურად მოახდენს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის თანაფარდობის სრულყოფასა და გამჭირვალობის გაზრდას, მოქალაქეების ინფორმირებულობას მიმდინარე პროექტებისა და სამომავლო გეგმების შესახებ.
- ასევე მიჩნეული და დასაბუთებულია, რომ საკონსულტაციო საბჭო ხელს შეუწყობს ევროკულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების გზაზე, რეფორმების სწორად განხორციელებას და მის მონიტორინგს.

საბჭო იქნება სარეკომენდაციო სახის და პლატფორმა, რომელიც შეიქმნება, მისი საშუალებით საზოგადოება ნათლად დაინახავს როგორც არსებული ვითარების ფართო სურათს ასევე მოახდენს ლოკალური პრობლემებისა თუ საკანონმდებლო ხარვეზების მოძიებას, რომლის საფუძველზეც ინიცირებული იქნება საკანონმდებლო ინიციატივები და ხელი შეეწყობა საკანონმდებლო ბაზის განახლება-გაუმჯობესებას.

- კრიტიკულად არის განხილული ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი თანაფარდობისთვის საჭირო არაერთი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი და ნორმა კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით, და მოცემულია მათი გადაჭრის გზები და მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიან ფუნქციონირებას.
- სიახლეა ისიც, რომ ნაშრომში განხილულ პრობლემათა ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომლის თანახმად დროის მოთხოვნიდან გამომდინარე ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის რადიკალური ცვლილებები უნდა დაიწყოს საკანონ-

მდებლო ბაზის მიზანმიმართული რეფორმირებით.

**საკვლევი თემის დამუშავების დონე.** ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების პრობლემების კვლევას სამეცნიერო ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა, მაგრამ ნაკლებათ არის შესწავლილი ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი თანაფარდობის პრობლემების გადაჭრის მექანიზმები, მიუხედავად მათი პრინციპული მნიშვნელობისა.

ამრიგად, პრობლემა უდავოდ აქტუალურია და მოითხოვს შემდგომ მეცნიერულ კვლევას.

**ნაშრომის აპრობაცია.** სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები და შედეგები გამოქვეყნებულია სამ სამეცნიერო სტატიაში, რომლებიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში, და ოთხ სამეცნიერო მოხსენებაში, რომლებიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალებში. ასევე ავტორის მიერ შესრულებული და დაცულია ორი თემატური სემინარი და სამი კოლოკვიუმი.

**საკვლევი თემის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.** საკვლევი თემის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი თანაფარდობის პრობლემების გადაჭრის მექანიზმები მიმართული უნდა იყოს ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე სოციალური მიზნის ფილოსიფიის და ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიის საფუძველზე, რაც ასახული უნდა იყოს სათანადო პოლიტიკურ და სამართლებრივ დოკუმენტებში.

სადისერტაციო ნაშრომში მოცემული მეცნიერული სიახლეები, დასკვნები და რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი თანაფარდობის პრობლემების გადაჭრის მექანიზმების შემდგომი სრულყოფისათვის, ისე აღნიშნული მეცნიერული სიახლეების,



დასკვნებისა და რეკომენდაციების პრაქტიკაში დანეგვისათვის.

კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნეს აგრეთვე ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობაზე მომუშავე სხვადასხვა მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, ასევე ნაშრომის მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნას რიგი თემების სწავლების პროცესში, სალექციო მუშაობაში, საკურსო ნაშრომების, რეფერატების მომზადების პროცესში და ა.შ.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 130 გვერდს. შედგება შესავლის, სამი თავის, 6 ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

**ნაშრომის შინაარსი ასეთია:**

**შესავალი**

**ლიტერატურის მიმოხილვა**

**თავი I. ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების ეფექტიანი თანაფარდობის თეორიული საფუძვლები;**

1.1. ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების შეხამების აუცილებლობა - როგორც საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის საფუძველი;

1.2. ადგილობრივი თვითმმართველობის - როგორც მმართველობის სპეციფიკური ასპექტის - თეორიული საფუძველი;

**თავი II. ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების ეფექტიანი თანაფარდობის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე;**

2.1. ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების ეფექტიანი თანაფარდობის პრობლემები საზღვარგარეთის ქვეყნებში;

2.2. ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების ეფექტიანი თანაფარდობის პრობლემები საქართველოში;

**თავი III. ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების ეფექტიანი თანაფარდობის სრულყოფის მექანიზმები;**

3.1 ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების თანაფარდობის სრულყოფის მექანიზმები საზღვარგარეთ ქვეყნებში;

3.2 ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების თანაფარდობის სრულყოფის მექანიზმები საქართველოში;

დასკვნა;

გამოყენებული ლიტერატურის სია;

## ნაშრომის ძირითადი შინაარსი

სადისერტაციო ნაშრომი - „ცენტრალური ხელისუფლება და ადგილობრივი თვითმმართველობა; ეფექტიანი თანაფარდობის პრობლემები და მათი გადაჭრის მექანიზმები“ შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვისაგან.

სადისერტაციო ნაშრომის შესავალში წარმოდგენილია გამოსაკვლევი პრობლემის აქტუალობა, გამოკვლევის მიზანი და ამოცანები, საგანი და ობიექტი, გამოკვლევის დღევანდელი დონე და პრაქტიკული მნიშვნელობა, გამოკვლევის მეცნიერული სიახლეები, ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.

ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში დახასიათებულია სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის პრობლემები და მათი გადაჭრის სამართლებრივი უზრუნველყოფის გზები და მექანიზმები. გაკეთებულია ლიტერატურის მიმოხილვითი ანალიზი, კრიტიკულად არის შეფასებული ზოგიერთ ავტორთა კონცეფციები და და გაკეთებულია ავტორისეული კომენტარები.

შედგები და მათი განსჯის ნაწილი ნაშრომში შემდეგი სტრუქტურით არის წარმოდგენილი:

თავი I. ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების ეფექტიანი თანაფარდობის თეორიული საფუძვლები;

თავი II. ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების ეფექტიანი თანაფარდობის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე;

თავი III. ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების ეფექტიანი თანაფარდობის სრულყოფის მექანიზმები;

ნაშრომის პირველი თავი – ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების ეფექტიანი თანაფარდობის თეორიული საფუძვლები; – ორ საკითხად არის გაშლილი.

პირველ ნაწილში განხილულია: სახელმწიფო მართვის ფორმები. მმართველობის სისტემა და მისი შემადგენელი ელემენტები. ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა, საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების თანაფარდობა.

სათანადოდ არის წარმოჩენილი დეცენტრალიზაციის მნიშვნელობა და საფუძვლიანად არის განხილული მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. გამომდინარე აქედან განხილულია სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სისტემა.

პირველ თავში მეორე საკითხად განხილულია: ადგილობრივი თვითმმართველობის - როგორც მმართველობის სპეციფიკური ასპექტის - თეორიული საფუძველი; განხილულია, საქართველოში არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურა, გაკეთებულია შედარება უცხოეთის ქვეყნების პატარა, საშუალო და დიდი ზომის მქონე მუნიციპალიტეტების მაგალითებზე.

განხილულია საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რეფერენდუმი, როგორც უშუალო მმართველობის განხორციელების საშუალება.

უფლებამოსილებათა ნათელი გამიჯვნა თვითმმართველობებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის – ამოსავალ დებულებას წარმოადგენს უნივერსალური სუბსიდიარობის პრინციპი, რომლის თანახმადაც ის, რისი გაკეთებაც შესაძლებელია ქვედა დონეზე, სამართავად არ უნდა გადაეცეს ზედა დონეს.

აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობების გარანტირებული შემოსავლების წილის გაზრდა, როგორც პროცენტულ, ისე აბსოლუტურ მაჩვენებლებში, რადგან მათ მოახერხონ მათთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების სრულყოფილად შესრულება და პრიორიტეტების გადანაწილება მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად.

სოციალური კვლევების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ საზოგადოებაში თვითმმართველობის ცნობადობა და თვითმმართველობისთვის მიმართვის ხარისხი დაბალია, ასევე თვითმმართველობებზე საზოგადოებრივი

ზედამხედველობა და საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

2012 წელს დაწყებული დეცენტრალიზაციის მორიგი რეფორმის შედეგად განხორციელდა მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები, გაიზარდა თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი დეცენტრალიზაციის პროცესის სრულყოფისთვის.

ცენტრალური ხელისუფლების ინსტიტუტებმა (სამინისტროებმა) უნდა დააჩქარონ მუშაობა იმ უფლებამოსილებათა თვითმმართველობებისათვის გადაცემის მიმართულებით, რომელთა განხორციელება ადგილობრივ დონეზე უფრო ეფექტიანი იქნება;

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში – „**ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების ეფექტიანი თანაფარდობის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე**“ – ასევე ორი საკითხია განხილული: ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანაფარდობის ეფექტიანობის პრობლემების ანალიზი ევროპის ქვეყნების მაგალითებზე.

მათგან, სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავის პირველ საკითხში – „ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების ეფექტიანი თანაფარდობის პრობლემები საზღვარგარეთის ქვეყნებში“, განხილულია საზოგადოებრივი მართვის სტრუქტურების ადგილობრივი, ისტორიული, კულტურული, პოლიტიკური და სხვა ფაქტორების გავლენა, რამაც მართვის მოდელებისა და მექანიზმების მრავალფეროვნება გამოიწვია - დაწყებული ადგილობრივი მმართველი ორგანოებისთვის ფართო უფლებების მინიჭებით, დამთავრებული უკიდურესი ცენტრალიზაციით.

კვლევაში განხილულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საკრებულო, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა დასახელებას ატარებს - საგრაფოს საბჭო, გენერალური საბჭო, მუნიციპალური საბჭო, კომუნალური საბჭო და სხვა. განხილულია ევროპული ქვეყნების: იტალიის, შვედეთის, ლიტვის, პროპორციული

საარჩევნო სისტემა და შედარებულია გერმანიის საარჩევნო სისტემასთან, სადაც პროპორციული არჩევნები ე. წ. ხუთ პროცენტის ბარიერითაა რეგლამენტირებული.

სადისერტაციო ნაშრომში მოყვანილია კონკრეტული ფაქტები, დიდი ბრიტანეთის და გერმანიის ადგილობრივი მმართველობის რეფორმების შესახებ. ასევე განხილულია შვედეთის ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ფუნქციების გადანაწილების სისტემა.

ნაშრომში განხილულია ლიტვის მაგალითი როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ერთ-ერთი პირველი, რომელმაც დამოუკიდებლობა მოიპოვა და დემოკრატიის განვითარების გზას დაადგა. ლიტვის სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის მაგალითზე განხილულია და პარალელი არის გავლებული საქართველოს ისტორიული წარსულიდან გამომდინარე.

განხილულია იტალიის საარჩევნო სისტემა, რომელიც მაცხოვრებელთა რაოდენობაზეა დამოკიდებული. მაგალითისთვის ასევე განხილულია იტალიის ოლქების სისტემა, რომელშიც ზოგიერთ მათგანს განსაკუთრებული სტატუსი გააჩნია. მათი უფლებების შინაარსი და მოცულობა განსხვავებული სამართლებრივი ბუნებისაა. განსაკუთრებული სტატუსის მქონე ოლქების სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება იტალიის კონსტიტუციის კონკრეტული მუხლებით. მათ შედარებით მეტი უფლებები გააჩნიათ ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში, ვიდრე ჩვეულებრივი სტატუსის მქონე ოლქებს. მიზანშეწონილია ამ მოდელის გარკვეული პუნქტების საქართველოს მოდელზე მორგება.

ნაშრომის ამავე თავში, მეორე საკითხი – „ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების ეფექტიანი თანაფარდობის პრობლემები საქართველოში“ განხილულია საქართველოს ტერიტორიული მოწყობა. ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა და არსებული პრობლემები. ცენტრალური ხელისუფლების გავლენა ადგილობრივ თვითმმართველობაზე და მათ შორის არსებული თანაფარდობის პრობლემები. აღნიშნულ თავში განხილულია ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია და

საქართველოს გავლილი გზა ბოლო 25 წლის მანძილზე, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების თვალსაზრისით.

განხილულია ადგილობრივ თვითმმართველობის სამი ძირითადი ფუნქცია:

- საჯარო მომსახურების გაწევა ადგილებზე;
- მდგრადი განვითარების ხელშეწყობა;
- სამოქალაქო მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა;

სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ადგილობრივ თვითმმართველობებს უნდა გადაეცეს რეალური ძალაუფლება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს უფლებამოსილების სრულყოფილი განხორციელება და რესურსების ეფექტიანი განკარგვა. ადგილობრივი თვითმმართველობა უნდა აღიჭურვოს უფრო მეტი უფლებამოსილებით და კომპეტენციით, მოქალაქეები რეალურად უნდა მართავდნენ საკუთარ ყოველდღიურობას, კონტროლს უწევდნენ ხელისუფლების მუშაობას და მოქალაქე ყველა დონეზე თვითონ უნდა განკარგავდეს საკუთარ ბედს.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავი, – **ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების ეფექტიანი თანაფარდობის სრულყოფის მექანიზმები** – მოიცავს ორ საკითხს, პირველ საკითხად განხილულია „ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების ეფექტიანი თანაფარდობის პრობლემები საზღვარგარეთის ქვეყნებში“, სადაც შეთავაზებულია ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანად ფუნქციონირების მიზნით მთელი რიგი წინადადებები.

დადგენილია იმის აუცილებლობა, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერით შეიქმნას დამოუკიდებელი საკონსულტაციო საბჭო სამოქალაქო სექტორთან ერთად, რომელიც გაუწევს მონიტორინგს ქვეყნის მასშტაბით ადგილობრივი თვითმმართველობისა და ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციონირებას, რათა რეალურად გააკონტროლოს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა და იყოს გამჭვირვალე

საზოგადოებისთვის.

აღნიშნული საბჭოს მონიტორინგისა და რეკომენდაციების მეშვეობით მოხდება ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციების დარეგულირება და უფლება-მოვალეობების დაბალანსებული გადანაწილება, რაც ხელს შეუწყობს ეფექტიან ფუნქციონირებას მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე.

ამავე თავში, მეორე საკითხად განხილულია – „ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების თანაფარდობის სრულყოფის მექანიზმები საქართველოში“, განხილულია სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების შექმნის წესი და მისი სტრუქტურა. წარმოჩენილია ძირეული პრობლემები მონარქიულ, რესპუბლიკურ, ოლიგარქიულ, დიქტატორულ და თეოკრატიულ მმართველობის ასპექტების კუთხით.

დასაბუთებულია სამოქალაქო საზოგადოების როლი სახელმწიფოს სწორი განვითარებისა და ადგილობრივ თვითმმართველობაში ეფექტიანი მექანიზმების ფუნქციონირების თვალსაზრისით.

განხილულია საქართველოში მიმდინარე რეფორმები ადგილობრივ თვითმმართველობის კუთხით და შეთავაზებულია მმართველობის ოპტიმიზაციის, გამჭვირვალობის, ინფორმირებულობისა და ღიაობის გაზრდის თვალსაზრისით საერთო მუნიციპალური სოციალური პლატფორმის შექმნა. კრიტიკული კუთხით არის შეფასებული ის შეხედულება, რომ თითქოსდა სახელმწიფოს მართვის პრობლემები კავშირში არ არის არსებულ სამართლებრივ ხარვეზებთან. სადისერტაციო ნაშრომი კი მთავრდება შემაჯამებელი დასკვნით.



## დასკვნა

კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ ხალხის მიერ უშუალო და წარმომადგენლობითი მმართველობის განხორციელების შესაძლებლობები.

არსებული პრაქტიკის ფონზე განვიხილეთ საქართველოში შექმნილი ვითარება და ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით, უცხოეთის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით და საქართველოში არსებული ტრადიციების გათვალისწინებით წარმოვადგინეთ შესაბამისი რეკომენდაციები.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მოძიებული მასალების საფუძველზე წარმოვაჩინეთ საქართველოში ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭირო გზების და მექანიზმების განხორციელების საშუალებები.

კერძოდ, სადისერტაციო ნაშრომში მოცემულია შემდეგი დასკვნები:

ჩატრებული კვლევის შედეგად ჩვენს მიერ შემოთავაზებული და დასაბუთებულია შემდეგი სიახლეები, რომელთა პრაქტიკაში დანერგვა გააუმჯობესებს ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიან ფუნქციონირებას, კერძოდ:

უნდა შეიცვალოს ძირეული მიდგომა და ადგილობრივი თვითმმართველობა უნდა გახდეს უფრო მეტად ღია და ანგარიშვალდებული საზოგადოების წინაშე.

პოლიტიკური ინსტიტუციონალიზაციის გათვალისწინებით ხელისუფლების მიერ გაცემული დაპირებები უნდა შესრულდეს რეალურ დროში, რათა მმართველობის დროს საზოგადოების მხრიდან იყოს ნდობა და სურვილი მიიღონ ერთობლივი მონაწილეობა თვითმმართველობის საქმიანობისა და ფორმირების პროცესში.

უნდა გადაიჭრას ადგილობრივ თვითმმართველობაში კვალიფიციური კადრების ნაკლებობის და არაკომპეტენტრი თანამშრომლების პრობლემა.

ასევე დაძლეული უნდა იქნეს ვაკანტურ ადგილებზე კონკურსის ჩატარების წესის ნაკლოვანებები და გაუმჯობესდეს კადრების გადამზადების დონე.

განსაკუთრებით აქტუალურია საჯარო პირთა უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის თანაფარდობის დანერგვა, ნეპოტიზმისა და კორუფციული რისკების პრობლემების რადიკალური გადაჭრა რაც უნდა განხორციელდეს სამოქალაქო საზოგადოების მაღალი დონის ჩართულობით.

- რეკომენდირებულია სახელმწიფოს მხარდაჭერით შეიქმნას დამოუკიდებელი საკონსულტაციო საბჭო სამოქალაქო სექტორთან ერთად, რომელიც გაუწევს რეგულარულ მონიტორინგს ქვეყნის მასშტაბით ადგილობრივი თვითმმართველობისა და ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციონირებას, რათა რეალურად გააკონტროლოს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა და იყოს გამჭირვალე საზოგადოებისთვის. აღნიშნული საბჭო ხელს შეუწყობს ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიან ფუნქციონირებას.
- აგრეთვე რეკომენდირებულია რომ საკონსულტაციო საბჭო იყოს ანგარიშვალდებული მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარის და პრემიერ-მინისტრის წინაშე და დაკომპლექტებული იყოს აღნიშნული დარგის საერთაშორისო ექსპერტებით, მეცნიერებით, იურისტებით, ეკონომისტებით, ანალიტიკოსებით და სხვა.
- მიზანშეწონილად არის მიჩნეული რომ ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი თანაფარდობისთვის დაინერგოს დისერტაციაში შემოთავაზებული გზები და მექანიზმები რომლითაც უფრო გაუმჯობესდება მოქმედი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები.
- წინამდებარე ნაშრომში დასაბუთებულია მიზნის თეორიების უპირატესობა საშუალებათა თეორიებზე და ზოგადად კვლევა დაფუძნებულია მიზნის ფილოსოფიის თეორიებზე.
- ნაშრომში განხილულ პრობლემათა ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა რომლის თანახმად ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის

ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ცვლილებები უნდა დაიწყოს საკანონ-მდებლო ბაზის რეფორმირებით, რითიც უფრო ეფექტიანათ გადაიჭრება ზემოაღნიშნული პრობლემა.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია ავტორის შრომებში და გადმოცემულია ინფორმაციის სახით ავტორის მიერ შესრულებულ კოლოკვიუმებში:

**თემატური სემინარი 1** – „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობა“.

**თემატური სემინარი 2** – „სტუდენტური თვითმმართველობის თავისებურებანი უმაღლესი განათლების სფეროში“.

**კოლოკვიუმი 1** - „ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების ეფექტიანი თანაფარდობის თეორიული საფუძვლები „

**კოლოკვიუმი 2** - „ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების ეფექტიანი თანაფარდობის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე„

**კოლოკვიუმი 3** - „ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების ეფექტიანი თანაფარდობის სრულყოფის მექანიზმები„

**სტატიები და მოხსენებები:**

1. **რატი გურგენიძე**, ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების აუცილებლობა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები: სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები (27.05.2016) თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2016, გვ. 117–120.
2. **რატი გურგენიძე**, ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების თანაფარდობის სრულყოფის მექანიზმები საზღვარგარეთის ქვეყნებში. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „პროგრესი“ 2017, №7-8, თბილისი: საერთაშორისო

გამომცემლობა “პროგრესი“, გვ. 69–72.

3. **რატი გურგენიძე**, ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების თანაფარდობის სრულყოფის მექანიზმები საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“, 2019, №38, თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტუალი“, გვ. 41–46.
4. **რატი გურგენიძე**, სტუდენტური თვითმმართველობის გამოწვევები და როლი უმაღლესი განათლების სფეროში. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“, 2019, №4(52), გვ. 41–48.
5. **რატი გურგენიძე**, ადგილობრივი თვითმმართველობის როლი სახელმწიფო მმართველობაში. სტუდენტთა 83-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი: საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2016, გვ. 295.
6. **რატი გურგენიძე**, ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების და თანაფარდობის როლი სახელმწიფო მმართველობაში. სტუდენტთა 87-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი: საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2017, გვ. 312.
7. **რატი გურგენიძე**, ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების თანაფარდობის ეფექტური მექანიზმები. სტუდენტთა 85-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი: საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2018, გვ. 468.